პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეექვსე წელი

№ 16 (188)

ოთხშაბათი

8

მაისი,

1957 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა პრესის დღე

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ტრადიციული დღესასწაული — კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი საბჭოთა პრესის დაბადების დღე — 5 მაისი.

45 წლის წინათ — 1912 წლის 5 მაისს — პეტერბურგში გამოვიდა პეტერბურგის მუშათა ინიციატივით შექმნილი მასობრივი პროლეტარული გაზეთის — „პრავდის" პირველი ნომერი.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა პრესა წარმატებით ასრულებს ჭეშმარიტად სახალხო პრესის კეთილშობილურ როლს. კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის გენიის ძალით შექმნა და გამოსჭედა თავისი ყველაზე მძლავრი და ბასრი იდეური იარაღი — საბჭოთა პრესა.

ჩვენი პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საბჭოთა პრესას, რომელიც ზრდიდა და ზრდის ფართო მასებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. დიდი ლენინი პრესას ძირითად მოთხოვნილებად უყენებდა მებრძოლ იდეურობას, პარტიულობას და პრინციპულობას. კომუნისტური პრესის ძლიერება ხალხთან მჭიდრო კავშირშია. საბჭოური გაზეთის ძალა მის მასობრიობაშია მდგომარეობს. რედაქციის მუშაკთა მთელი კოლექტივი, ჟურნალისტთა ჯგუფი, რაგინდ მაღალკვალიფიციურიც არ უნდა იყოს მისი თვითეული წევრი, ვერ გაუძღვება გაზეთს, ვერ გახდის მას ღრმაშინაარსიანს, საინტერესოს, მებრძოლს და მომწოდებელს, ვერ აქცევს მას დიდი აზრებისა და იდეების, დიდი ღონისძიებებისა და საქმეების მგზნებარე კოლექტიურ აგიტატორად და პროპაგანდისტად, აქტიურ ორგანიზატორად, თუ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში არ დაეყრდნობა კორესპონდენტთა ფართო აქტივს, მკითხველთა მრავალმილიონიან კოლექტივს, იმათ, ვისი უშუალო მონაწილეობითაც კეთდება გაზეთი.

კომუნისტური პრესის მთელი რევოლუციური წარსული და აწმყო დიდებული დემონსტრაციაა იმისა, თუ როგორ იყენებდა და იყენებს პარტია პრესას როგორც ყველაზე შორსმსროლელ იარაღს, როგორც მშრომელ ხალხთან კავშირის განმტკიცებისა და გაძლიერების ყველაზე უკეთეს საშუალებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი პრესის ორგანიზატორული და დამრაზმველი როლი. ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პრესის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. იგი მოწოდებულია დარაზმოს საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის, მრავალფეროვნად, საქმიანად და ღრმაშინაარსიანად ასახოს საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა კომუნიზმის მშენებლობის ყოველ უბანზე.

ჩვენი უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი — „ახალგაზრდა სტალინელი" მოწოდებულია იყოს სარკე უნივერსიტეტის თალებქვეშ გაშლილი დიდი მეცნიერული და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისა, სრულყოფილად ასახოს სტუდენტთა ცხოვრება, ხელი შეუწყოს სწავლების პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განუხრელ ზრდას, დაეხმაროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მაღალკვალიფიციური, თავისი საქმის ღრმად მცოდნე კადრების აღზრდის სახელმწიფოებრივ საქმეში.

უნდა ითქვას, რომ ამ დიდად პასუხსაგებ ამოცანებს ჩვენი გაზეთი ამჟამად უკეთ ართმევს თავს, ვიდრე წინა წლებში. გაიზარდა აქტივისტთა, სტუდენტ-კორესპონდენტთა რიცხვი, ამაღლდა წერილების ქმედითობა და ოპერატიულობა, საგრძნობლად გაუმჯობესდა გაზეთის ტექნიკურ-მხატვრული გაფორმებაც. მაგრამ ჩვენს გაზეთს მეტის გაკეთება შეუძლია: მან უფრო მჭიდროდ უნდა შემოიკრიბოს თავის ირგვლივ კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი აქტივი, ჩააბას იგი გაზეთის საინტერესო საქმიანობის ფერხულში, რათა უფრო სრულყოფილად აისახოს მის ფურცლებზე უნივერსიტეტის მრავალფეროვანი ცხოვრება. ამ მიზნის განხორციელებისათვის უნდა დაირაზმოს თვითეული აქტივისტი, თვითეული კორესპონდენტი — ყველა ფაკულტეტიდან. სამწუხაროა, რომ ნაკლებად იგრძნობა ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა საქმიანი დაინტერესება თავიანთ გაზეთში აქტიური მონაწილეობისადმი. ჟურნალისტებიდან მხოლოდ ცალკეული სტუდენტები გამოირჩევიან, რომლებიც, მართლაც და, სისტემატურად თანამშრომლობენ გაზეთში, უმრავლესობა კი, ეტყობა, გაზეთში მონაწილეობას სათაკილოდ თვლის. ამ მხრივ უთუოდ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ჟურნალისტიკის კათედრასაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს რამდენჯერმე აღინიშნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის თუ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებებში, კათედრას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. ეტყობა, იგი დაინტერესებული არაა ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა ჩვენს გაზეთში მონაწილეობით. ამ მხრივ კათედრასთან ერთად უთუოდ ბევრის გაკეთება შეეძლო თვითონ გაზეთის რედაქციასაც. მომავალში ეს მდგომარეობა უთუოდ უნდა გამოსწორდეს. როგორც კათედრამ, ისე რედაქციამ სათანადო ფორმები უნდა შეიმუშაონ გაზეთის მუშაობაში ჟურნალისტი სტუდენტების ჩაბმისა. ეს ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტთა პრაქტიკულ დახელოვნებას, ისე გაზეთის ხარისხის გაუმჯობესებას.

უფრო შინაარსიანი, მრავალფეროვანი, საინტერესო და მიზნდასახული გავხადოთ ჩვენი გაზეთი — აი ამოცანა, რომლის წარმატებით გადაჭრა ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი კოლექტივის ყოველი წევრის სახელსაზოგადო საქმეა.

ვ. ი. ლენინი 1918 წელს

ჩვენი კედლის გაზეთები

ჩვენს უნივერსიტეტში 30-ზე მეტი კედლის გაზეთი არსებობს. ბევრი მათგანი კარგად ართმევს თავს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას — საინტერესოდ და საქმიანად აშუქებს კურსის, ფაკულტეტის თუ უნივერსიტეტის ცხოვრებას, რეგულარულად გამოდის და ხელს უწყობს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

სანიმუშო კედლის გაზეთების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ორგანო — „ლიტერატურნი ლისტოკი", რომელიც მეტად მრავალფეროვანია. აქ ქვეყნდება როგორც სტუდენტთა საკუთარი ლიტერატურული ნაწარმოებები, ისე ფაკულტეტის ცხოვრების ამსახველი წერილები. გაზეთს აქვს სატირისა და იუმორის განყოფილება, რომელიც მეტად გამიზნულად და გონებამახვილურად კეთდება.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის კედლის გაზეთი „ლიტერატურელი ფურცელი". გაზეთში მოთავსებული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული პროდუქცია მხატვრულობის თვალსაზრისით ჯეროვან სიმაღლეზე დგას.

სტუდენტთა შორის პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე კომიტეტის სატირულ-იუმორისტული კედლის გაზეთი „ჭინჭარი". შეიძლება ითქვას „ჭინჭარი" დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის ამოცანას — სამიზნეზე გამოაქვს ზოგი ნაკლი ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებიდან, გაბედულად აკრიტიკებს სწავლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩამორჩენილ სტუდენტებს. გაზეთში გამოქვეყნებული ბევრი მასალა ცოცხლადაა დაწერილი და საინტერესოდ იკითხება.

უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებას საინტერესოდ ასახავს კედლის გაზეთი „სპორტული ახალგაზრდობა".

კარგად მუშაობენ ფილოლოგიის, ქიმიისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების კედლის გაზეთები — „ფილოლოგ" (რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ორგანო), „საბჭოთა ქიმიკოსი" და „მებრძოლი ფილოლოგი". აღნიშნული გაზეთები ფაკულტეტების ყოველდღიური ცხოვრების ასახვით, გაზეთში კორესპონდენტთა აქტიური მონაწილეობით და მხატვრული გაფორმებით მოწონებას იმსახურებენ.

მაგრამ, ამასთან, უნდა ითქვას, რომ ბევრი კედლის გაზეთი ჯერ კიდევ ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ისინი ნაკლებად აშუქებენ სტუდენტთა ცხოვრებას, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საქმიანობას. ზოგიერთი მათგანი გამოდის მხოლოდ დღესასწაულების წინ ან შემდეგ, ატარებს მხოლოდ საზეიმო ელფერს და, ცხადია, ვერ ასახავს ფაკულტეტების ცხოვრებას. მოკლებულია ყოველგვარ კრიტიკულ გამოხვლებს.

კედლის გაზეთების მუშაობის სწორად დაყენება დიდად დაეხმარება ფაკულტეტების დეკანატებს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

სამეცნიერო წრის კედლის გაზეთი

მიმდინარე სასწავლო წლის დეკემბრის თვეში ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭომ გადაწყვიტა დაეწყო ყოველთვიური კედლის გაზეთის — „ახალგაზრდა ბიოლოგის" გამოშვება. მართლაც, ამავე თვეში გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი, ხოლო შემდეგში დღემდე კიდევ ოთხი ნომერი იქნა გამოშვებული.

ბიოლოგების სამეცნიერო საზოგადოების კედლის გაზეთი (რედაქტორი — საზოგადოების მეცნიერ-ხელმძღვანელი დოც. ლევან ნათაძე) მეტად საინტერესოა. მასში სისტემატურად ქვეყნდება ფაკულტეტის, უნივერსიტეტის, რესპუბლიკის და საკავშირო სამეცნიერო ცხოვრების ქრონიკა; ახალი სპეციალური წიგნების სია; წერილები საინტერესო ბიოლოგიურ საკითხებზე; ინფორმაციები საზოგადოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ნომერში თავსდება წერილები გამოჩენილი ბიოლოგების შესახებ.

რედკოლეგიას განზრახული აქვს შემდგომში მისი გაზეთის ფურცლებზე შემოიღოს კიდევ ერთი განყოფილება — „ჩვენი წრის აღზრდილები", სადაც მოთხრობილი იქნება ფაკულტეტის სამეცნიერო წრეებში აღზრდილ იმ პირთა შესახებ, რომლებიც ამჟამად მეცნიერი მუშაკები არიან. ამავე განყოფილებაში მოთავსდება აღნიშნულ პირთა მოგონებანი, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში და სხვ. ეს კიდევ უფრო გაუღვივებს სტუდენტებს ინტერესს სამეცნიერო მუშაობისადმი. საერთოდ გაზეთ „ახალგაზრდა ბიოლოგის" გამოსვლა მისასალმებელი მოვლენაა; იგი უფრო საინტერესოს ხდის ბიოლოგი სტუდენტების სამეცნიერო მუშაობას.

ქ. რევაზიშვილი

სამედიცინო ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გამოვიდა მრავალტირაჟიანი გაზეთი — „მედიცინის მუშაკი".

გაზეთის პირველ ნომერში მოწინავე წერილის („პირველი სიტყვა") შემდეგ მოთავსებულია თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიანი გაზეთების მისალმებანი გაზ. „მედიცინის მუშაკს", სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ი. მენთეშაშვილის წერილი — „ჩვენი საარსებო ამოცანა", პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სურვილები, სტუდენტ ლ. მგელაძის ლექსი — „პირველი მერცხალი".

ამავე ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის — ამხ. ა. გელბახიანის წერილი — „სტუდენტთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონისათვის" და ინსტიტუტის ცხოვრების ამსახველი მასალები სათანადო ფოტოებით.

ეხლა გამოვიდა გაზეთის ხუთი ნომერი. როგორც პირველი, ისე შემდეგი ნომრებიც გაფორმებულია კარგი გემოვნებით და მათში მოთავსებული მასალები კარგად ასახავს ინსტიტუტის ცხოვრებას.

გამოსული ნომრების მიხედვით „მედიცინის მუშაკი" ერთ-ერთი კარგი გაზეთია თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიან გაზეთებს შორის. იგი გამოდის პრავდის მცირე ფორმატით, კვირაში ერთხელ.

პროფ. აკ. შანიძის იუბილე

10 მაისს, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის აკაკი გაბრიელის-ძე შანიძის დაბადებიდან 70 წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-საზეიმო სხდომას.

სხდომა ჩატარდება უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექსკურსია ზუგდიდში

ამას წინათ იურიდიული ფაკულტეტის პროფორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ექსკურსია ზუგდიდში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა. მათ დაათვალიერეს ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ისტორიული ადგილები: ქალაქის ბაღი და რუხის ციხე. ექსკურსანტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ენგურის ქაღალდის კომბინატისა და რუხის მეჩაიეობისა და მელიორაციის მექანიზებული ფერმის დათვალიერებამ.

სტუდენტები ეუფლებიან რადიოფიზიკის სპეციალობას

საკმაოდ ხანგრძლივი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შედეგად 1955 წლის 1 ოქტომბრიდან ფიზიკის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა რადიოფიზიკის სპეციალობა, რომელსაც რადიოფიზიკის კათედრა ხელმძღვანელობს.

ამ სპეციალობაზე თანამედროვე რადიოფიზიკის მრავალი სამეცნიერო დისციპლინაა წარმოდგენილი, მათ შორის — რადიოტექნიკა, გაზური განმუხტვის ფიზიკა, იმპულსური ტექნიკა, რხევათა თეორია, ზემაღალი სიხშირეების გენერირება, რადიოტალღათა გავრცელება, მიკრორადიოსპექტროსკოპია და სხვა.

გარდა თეორიული დისციპლინებისა, რომელთა ათვისება ფაკულტეტზე სათანადო სიმაღლეზე დგას, სტუდენტთა სწავლება კარგად მოწყობილ ლაბორატორიებში მიმდინარეობს, სადაც სტუდენტები ლექციებზე მიღებულ ცოდნას ღრმავებენ და ექსპერიმენტული კვლევის ჩვევებს იღებენ.

კარგად აღჭურვილ ლაბორატორიათა გარდა სტუდენტები საწარმოო პრაქტიკისათვის საჭირო პირველხარისხოვანი ბაზებითაც არიან უზრუნველყოფილი. საქართველოში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მსხვილ რადიოტექნიკურ ობიექტებთან ერთად, ისინი პრაქტიკას მოსკოვის სატელევიზიო ცენტრში და დედამიწის მაგნეტიზმისა და რადიოტალღათა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში გადიან. სტუდენტთა უმრავლესობა პრაქტიკის ხელმძღვანელთა კარგ შეფასებას იმსახურებს. ახლო მომავალში კათედრის აღჭურვილობა იონოსფეროს კვლევითი სადგურითაც გამდიდრდება.

რადიოფიზიკის სპეციალობისაკენ ახალგაზრდობის დიდი ლტოლვაა. ამჟამად ფაკულტეტის ყველა კურსზე ამ სპეციალობის ჯგუფებში 125 სტუდენტი ირიცხება, რაც ფაკულტეტის სტუდენტთა დიდ ნაწილს წარმოადგენს.

მრავალი სტუდენტი სწავლისაგან თავისუფალ დროს კათედრასთან არსებულ სამეცნიერო წრეებში მუშაობას ანდომებს. ამ წრეებში ისინი რადიოფიზიკის სხვადასხვა საინტერესო საკითხებს ამუშავებენ. წრეში დამზადებულმა სატელევიზიო ცენტრმა ამა წლის აპრილის ბოლოს თბილისში გამართულ საქართველოს „დოსააფის" ორგანიზაციის რადიომოყვარულთა და კონსტრუქტორთა შემოქმედების რადიოგამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ხოლო მისმა ავტორებმა — მ. თევდორაშვილმა, ვ. სალიბეგაშვილმა, რ. აივაზიანმა, მ. კობახიძემ, კ. კახელაძემ და ფეროსმა ლაბორანტმა მ. ლომიძემ სიგელები მიიღეს. პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა აგრეთვე სუპერჰეტეროდინული მიმღების გაშლილი სქემით აწყობილ მაკეტს.

შარშან წრის წევრებმა — მ. წულაიამ, მ. კობახიძემ და კ. კახელაძემ თბილისის 57-ე სკოლას დაუმზადეს და დაუდგეს რადიოკვანძი. ხსენებულ წრეში გარდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა საშუალო სკოლის მოწაფეებიც მუშაობენ.

კათედრის მუშაობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს სტუდენტთა პირველი გამოშვება, რომლისთვისაც იგი დიდი ხანია სათანადოდ ემზადება. ამჟამად სადიპლომო შრომათა ექსპერიმენტული ნაწილი დამთავრებულია და მიმდინარეობს მიღებული შედეგების დამუშავება-გაფორმება. ჩქარა სტუდენტები კათედრის საჯარო სხდომებზე მათ დასაცავად წარსდგებიან.

სადიპლომო შრომების ძირითადი ნაწილი ექსპერიმენტული ხასიათისაა. მრავალი მათგანი კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო თემების ცალკეული საკითხების ნაწილს წარმოადგენს.

ნახევარგამტართა ხელსაწყოების გენერატორულ სქემებში გამოყენების დარგიდან თანამედროვე რადიოტექნიკის აქტუალურ საკითხებს ამუშავებენ სტუდენტ-დიპლომანტები — ლ. მელიხოვა, ჯ. პერადაშვილი, ნ. ნიჟარაძე, ნ. ორჯონიკიძე. საინტერესო შრომები აქვთ სტუდენტებს — შ. ტაბიძესა და ჯ. ჩიქოვანს, რომლებიც ათ სანტიმეტრიან რადიოტალღათა მავთულის ბადეში გავლის, შთანთქმისა და მისგან არეკვლის ეფექტს იკვლევენ. სტუდენტ ნ. სერგიენკოს სადიპლომო შრომა წრფივი სისტემის სიხშირულ და ფაზური მახასიათებლების ფურიეს მეთოდით კვლევას ეხება; დიპლომანტ ლ. გოგინეიშვილის მიერ დამზადებულ თვითინდუქციის საზომ ხელსაწყოს მისი ამხანაგები და კათედრის თანამშრომლები უკვე იყენებენ.

როგორც წესი, დიპლომანტ სტუდენტთა მიერ დამზადებულ ხელსაწყოთა უმრავლესობა, ისევე როგორც წინა წლებში, მომდევნო კურსის სტუდენტებისთვის განკუთვნილ ლაბორატორიულ სამუშაოთა რიცხვში იქნება ჩაყენებული, ან გამოიყენება კვლევითი მიზნებისათვის.

სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, საანგარიშო-მთვლელი მანქანების, ელექტრონიკის, რადიოელექტრონიკისა და რადიოტექნიკის სხვა დარგების სწრაფი განვითარების შედეგად დიდად გაიზარდა მოთხოვნილება რადიოფიზიკის სპეციალისტებზე. ამიტომაა, რომ დიპლომანტ სტუდენტთა უმრავლესობა სათანადო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშია განაწილებული.

კათედრა ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოუმზადოს სახალხო მეურნეობას თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტები.

ასისტენტები **თ. ქლენტი, გ. ქევანიშვილი.**



ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის კათედრის გამგე დოცენტი შ. ბებიაშვილი, კონსულტაციას უწევს ამავე ფაკულტეტის რადიოფიზიკის სპეციალობის V კურსის სტუდენტებს—შ. ტაბიძეს და ჯ. ჩიქოვანს, რომლებიც სადიპლომო შრომისათვის მათ მიერ დამზადებული გადამცემი და მიმღები რუპორული ანტენების საშუალებით იკვლევენ ათ სანტიმეტრიანი რადიოტალღების მავთულის ბადეში არეკვლის, გავლისა და შთანთქმის ეფექტს.

ფოტო გ. ჰუბაბრიასი

ბიოლოგები იცავენ სადიპლომო შრომებს

სურათზე: სტუდენტი ლ. ანთაძე იცავს სადიპლომო შრომას. წინა პლანზე: მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე დოც. ქ. ცხაკაია.

ფოტო შ. კაკიაშვილისა

ბიოლოგიის ფაკულტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრაზე (გამგე დოც. ქ. ცხაკაია) 3 მაისს დაიწყო სადიპლომო შრომების დაცვა.

სადიპლომოდ კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს სტუდენტებმა — დ. ძაგნიძემ, ლ. გელბახმა, გ. გოშელაურმა, მ. დაელიანიძემ, ე. მოდებაძემ, ნ. მარგალიტაძემ და ც. ძოწენიძემ.

გულისხმიერი მსჯელობით იყო შესრულებული მ. მგალობლიშვილის სადიპლომო შრომა — „განსაკუთრებულ ნიადაგობრივ პირობებში აღზრდილ ქლოროზგამძლე საძირეებში ნახშირწყალბადებისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა". მომხსენებელმა თემის ირგვლივ წარმოადგინა საკუთარი ცდებით შესწავლილი დიდძალი ექსპერიმენტალური მასალა. მოწონება დაიმსახურა ლ. ანთაძის სადიპლომო შრომამაც — „ორგანული მჟავების შემცველობისა და ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრა ვაზში ქლოროზთან დაკავშირებით". დიპლომანტს ამ თემის ირგვლივ 3 წლის მანძილზე უწარმოებია ლაბორატორიული სამუშაოები, როგორც აქვე — უნივერსიტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის ლაბორატორიებში, ისე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილებაში აკად. ლ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. დიპლომანტს თავისი შრომის დაწერისას მოუმარჯვებია 60-ზე მეტი ლიტერატურული წყარო, როგორც ქართულ, ისე რუსულსა და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული. ლ. ანთაძის სადიპლომო შრომამ კომისიისაგან ფრიადი შეფასება დაიმსახურა.

ამ დღეს მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრაზე სადიპლომო შრომა დაიცვა 9 სტუდენტმა და ყველამ უმაღლესი შეფასება — „ფრიადი" დაიმსახურა. დიპლომანტებმა გამოავლინეს საკითხების ღრმად ცოდნა, თემის ირგვლივ მსჯელობისა და ზეპირმეტყველების მაღალი კულტურა. დაცვისას ისინი მოხერხებულად იყენებდნენ მათ მიერ დაყენებული ცდების დროს მიღებულ შედეგებს, კრცელ და ზუსტ პასუხებს იძლეოდნენ შეკითხვებზე. ყოველივე ეს მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრის წევრებისა და კერძოდ კათედრის გამგის დოც. ქ. ცხაკაიას მიერ დიპლომანტებისადმი გაწეული უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგია.

გ. მაღრაძე

7 მაისი — რადიოს დღე

მიმდინარე წლის 7 მაისს 62 წელი შესრულდა ალექსანდრე სტეფანეს ძე პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების დღიდან, როდესაც გადაცემული იქნა პირველი რადიოგრამა მსოფლიოში — „ჰენრიხ ჰერცი". მიმდინარე წელსვე სრულდება 60 წელი პოპოვის მიერვე თანამედროვე რადიოტექნიკის უდიდესი მიღწევის — რადიოლოკაციის პრინციპების აღმოჩენიდან. რადიოლოკაციის პრინციპების აღმოჩენასთან ერთად ა. ს. პოპოვმა გამოთქვა მოსაზრება რადიონავიგაციისა და რადიოპელენგაციის შესაძლებლობის შესახებ.

ამ აღმოჩენამ დასაბამი მისცა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ეპოქას — რადიოს ეპოქას. ახლა ძნელია მოიძებნოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის რომელიმე დარგი, სადაც რადიო თავის გამოყენებას არა პოულობდეს.

ჩვენი ქვეყანა რადიოსთან ერთად ტელევიზიის სამშობლოდაც ითვლება. ტელევიზიის ფუძემდებელია პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ბ. ა. როზინგი, რომელმაც 1907 წელს შეიმუშავა ტელევიზიის ელექტრონული პრინციპები. მან 1911 წელს პირველმა შეძლო რამდენიმე მეტრის მანძილზე გამოსახულების გადაცემა ლაბორატორიული დანადგარით. შემდგომი გაუმჯობესების შედეგად 1931 წლიდან შესაძლებელი შეიქნა რეგულარული სატელევიზიო გადაცემების წარმოება.

ჩვენში რადიოს ნამდვილი აყვავება, რადიოტექნიკურ საშუალებათა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დანერგვა, რადიოს ჩაყენება ხალხის სამსახურში მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ჩვენი სამშობლო 1919 წლიდან დღემდე რადიოგადამცემ სადგურთა სიმძლავრეების მიხედვით უცვლელად ინარჩუნებს პირველ ადგილს მსოფლიოში.

რადიომშენებლობის განვითარებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ფართომაუწყებლობას — შეიქმნა მრავალმილიონიანი აუდიტორიის მქონე გაზეთი „უქაღალდოდ და უმანძილოდ".

რადიო „ხილული" გახდა. რადიოელექტრონიკის განვითარების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში რეგულარულად მუშაობს პირველხარისხოვანი სატელევიზიო ცენტრები.

ჩვენში ამჟამად ფართო ხასიათს ღებულობს რადიო-სატელევიზიო ხაზების მშენებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სატელევიზიო გადაცემებით დაიფაროს ჩვენი ქვეყნის დიდი ტერიტორია, შეიქმნას ცენტრალური სატელევიზიო პროგრამა საბჭოთა კავშირის შიგნით და მოხდეს მისი გაცვლა მეზობელ სახელმწიფოებთანაც. ფერადი და მოცულობითი ტელევიზიის დანერგვა, რომელზედაც ახლა დიდი მუშაობა წარმოებს, საშუალებას მოგვცემს კიდევ მეტად ავამაღლოთ ხალხის კულტურული დონე.

მეტრებიან და დეციმეტრებიან ტალღათა გამოყენება დიდად ზრდის კავშირგაბმულობის არხის გამტარუნარიანობას და საშუალებას იძლევა ერთი არხით 1 000-მდე ერთდროული საუბარი და სატელეგრაფო გადაცემა ვაწარმოოთ, სარელეო ხაზების დახმარებით უფრო მეტად მოქნილი გავხადოთ კავშირი სხვადასხვა ქალაქებთან სასურველ მანძილზე.

თანამედროვე მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევას წარმოადგენს გამოთვლითი მანქანების დამუშავება, რომელიც მეტად აადვილებს შრომატევადი გამოთვლების წარმოებას, უფრო ეფექტურს ხდის მეცნიერული შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სურათზე: ა. პოპოვი (მარცხნიდან მეოთხე) ღებულობს მსოფლიოში პირველ რადიოგრამას.

გამოთვლითი მანქანების გამოყენება სახალხო მეურნეობის მრავალფეროვან დარგებში წარმოების ფართო ავტომატიზაციის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდეს პერსპექტივას იძლევა. თანამედროვე ფიზიკის, რადიოფიზიკისა და რადიოტექნიკის ყურადღების ცენტრშია ნახევრადგამტარი ხელსაწყოების თეორიის დამუშავება და სრულყოფა, ამ ხელსაწყოთა პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენება, ხელსაწყოებისა, რომლებიც თანდათან ცვლიან ელექტრონულ მილაკებს რადიოტექნიკურ სქემათა კვანძებში, ამცირებენ დანადგართა ზომებს, ზრდიან ხელსაწყოთა საიმედოობის ხარისხს.

თუ ზემოაღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ რადიოტექნიკური საშუალებები და მაღალი სიხშირის ენერგია ფართოდაა გამოყენებული სოფლის მეურნეობაში — მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ფიზიკაში — სხვადასხვა მოვლენის შესასწავლად, მედიცინაში — ავადმყოფთა სამკურნალოდ და ა. შ., სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში რადიოტექნიკის გამოყენების სია მაინც არ იქნება სრული — იმდენად ფართოა და მიმზიდველი რადიოტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე და ბრწყინვალე მომავალი.

რადიოტექნიკას დიდი ხნის ისტორია არა აქვს და აქ კიდევ მრავალი საკითხია გადასაჭრელი, რისთვისაც რადიოინჟინრებს, რადიოფიზიკოსებსა და ფიზიკოსებს დიდი სამუშაოების ჩატარება მოუხდებათ.

დოც. შ. ბებიაშვილი

ახალი კადრები დედა სამშობლოს

წელს ჩვენი უნივერსიტეტის 11 ფაკულტეტი 30-ზე მეტი სპეციალობის 951 სპეციალისტს გამოუშვებს.

უკვე ჩატარდა განაწილება. ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ფილოლოგიის (ქართული განყოფილება) ფაკულტეტების სტუდენტები წარდგნენ განმანაწილებელი კომისიის წინაშე.

ქიმიის ფაკულტეტი წელს 49 სტუდენტს გამოუშვებს. აქედან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოყენებულ იქნება 47, ორი წარჩინებული სტუდენტი — ელიშვილი ზაზა და მულო სერიძე მორისი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღებენ უფლებას ჩააბარონ მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

ქიმიის ფაკულტეტს მრავალი მოწინავე სტუდენტი ამთავრებს. ისინი ცხოვრების პრაქტიკულ სარბიელზეც ასახელებენ თავს. ლამარა სიხარულიძე მომავალ სასწავლო წელს იმუშავებს ფოთის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლად. მ. ფიჩხაძე და მ. გერგია გაგზავნილი არიან აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში, ხოლო ნანული რთველიაშვილი — აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში.

მიუხედავად ორაერთგზის დასმისა, ჯერკიდევ არ არის გადაჭრილი საკითხი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ქიმიკოსთა რესპუბლიკის საწარმოებში განაწილების შესახებ.

ბიოლოგიის ფაკულტეტს წელს 54 სტუდენტი ამთავრებს, აქედან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ თავის განკარგულებაში აიყვანა 28 კაცი. გეოგრაფიის სპეციალობის 42 კაციდან 32 იმუშავებს ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლებში, 111 ისტორიკოსიდან მასწავლებლად გაიგზავნება 30, ხოლო 76 ქართველი ფილოლოგიდან 70 მიდის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ის ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც განათლების სამინისტროს განკარგულებაში არ არიან აყვანილი, იმუშავებენ ჩვენს რესპუბლიკაში ან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა. წარმოება-დაწესებულებებში.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლარა გაბუნ ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტია. მას კარგად იცნობს ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. იგი მომავალი სასწავლო წლიდან შეეცდება თავი ისახელოს როგორც ენერგიულმა და მონდომებულმა ახალგაზრდა მასწავლებელმა.

ფილოლოგიის კურსდამთავრებული სტუდენტები—ვალენტინა აბბა, კუკური გაბელია, ალექსანდრე ჯენია და ოლია აბგაჯავა თავიანთ მშობლიურ აფხაზეთში არიან წარგზავნილი მასწავლებლებად. იქვე წავა სამუშაოდ გეოგრაფი ზაკან ვარციგი.

ფილოლოგი ნათელა როსტიაშვილი, გეოგრაფები სეითბეგ თეიმურაზოვი და სალიმათ ჰაჯიევა გაგზავნილი არიან აზერბაიჯანის სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში. ისინი იმუშავებენ ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართული სკოლების მასწავლებლებად. თუში მუხმად ხანგოშვილი ახმეტის რაიონში დაბრუნდება. როგორც ახალგაზრდა გეოგრაფი და მთელი თავისი ენერგიით ხელს შეუწყობს თავის რაიონში სახალხო განათლების საქმეს. ასევე მთელი ერთგულებით იმუშავებენ მცხეთის რაიონში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტები — ლ. სეინიშვილი და თ. მოძმანიშვილი, ხოლო გურჯაანის რაიონში — თ. ლარიბაშვილი.

ფიზიკის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ განყოფილებებს წელს 124 კაცი დაამთავრებს. აქედან 66 კაცი განათლების სამინისტროს განკარგულებაშია, 24 კურსდამთავრებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში იმუშავებს, 6—ამავე აკადემიის გამოთვლით ცენტრში, 6—გეოფიზიკის ინსტიტუტში, 4—აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გაიგზავნება, ხოლო 8 კურსდამთავრებულს ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით უფლება ეძლევა მისაღები გამოცდები ჩააბაროს ასპირანტურაში.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა ფიზიკოსთა საკმაოდ მოზრდილი არმია მისცა ჩვენმა უნივერსიტეტმა სამშობლოს.

განაწილებულთა დიდი უმრავლესობა სიამოვნებით დათანხმდა განმანაწილებელი კომისიის წინადადებას სამუშაოდ ამა თუ იმ ადგილზე წასვლის შესახებ. მაგრამ ყველას როდი აღმოაჩნდა საკმაო შეგნება — მასზე გაწეული დიდი ამაგის შემდეგ კეთილსინდისიერად მოეხადა ვალი სამშობლოს წინაშე და იქ წასულიყო სამუშაოდ, სადაც საჭირო იყო მისი წასვლა.

კერძოდ, ფიზიკის ფაკულტეტის ექვსმა სტუდენტმა უარი განაცხადა მასწავლებლად წასულიყო ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში. მაგალითად, მ. დათუშიძემ უარი თქვა მასწავლებლად წასულიყო გორის საშუალო სკოლაში. ლ. ჰანკვეტაძე უყოველგვარო დასაბუთებული მოტივის გარეშე არ დაეთანხმა წინადადებას მცხეთაში ემუშავა მასწავლებლად; სედა მანუკიანი კი ცდილობდა განმანაწილებელი კომისიისათვის დაემტკიცებინა, რომ შეუძლებელია მისი წასვლა თბილისიდან სართიჭალაში.

ასევე ელ. კოდურიძამ და ვლ. ადამოვმა უარი თქვეს წასულიყვნენ მასწავლებლად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო ლ. კრასილნიკოვამ კატეგორიულად უარყო წინადადება აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში წასვლაზე.

უცნაურად გვეჩვენება ამ ექვსი სტუდენტის უმსგავსო საქციელი მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა და მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები უდიდესი ენთუზიაზმით მიემგზავრებიან სამუშაოდ იქ, სადაც კი მათ დიდი სამშობლო მოუხმობს.

ი. დგებუაძე

გადამწყვეტ ეტაპზე

წარმატებით დაიწყო სადიპლომო შრომების დაცვა ქიმიის ფაკულტეტზე 8 მაისს ფიზიკური ქიმიის სპეციალობის სტუდენტებმა—მ. მეხრიძემ, ბ. ცინცაძემ და ტ. მეგრელიშვილმა დაიცვეს სადიპლომო შრომები. სამივემ მაღალი შეფასება „ფრიადი" მიიღო.

სურათზე: სტუდენტი ტ. მეგრელიშვილი სადიპლომო შრომის დაცვაზე. სხედან პროფ. ვ. კოკოჩაშვილი და ე. გრიგოლია. ფოტო გ. ჰუხაჩოიანისა

უნივერსიტეტის „შრომები"

გამოვიდა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების" 63-ე ტომი, რომელშიაც დაბეჭდილია შემდეგი შრომები:

ს. ბერიძე — ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის განვითარება ჟურნალ „საქართველოს მოამბეში"; ნ. ქონიძე — ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701—1761 წწ.); ვ. ადეიძე — მატერიალური დაინტერესების პრინციპის როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში; გ. ტიბაძე — მიწათმოქმედების თიმარიოტული სისტემა, როგორც სამხედრო-ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში; ვ. დონაძე — ინდოეთში ლაშქრობის ერთი პროექტის საკითხისათვის; ქ. მეშველიანი — ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ XV—XVI სს.; ო. ჯაფარიძე — არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში; ნ. კიკვაძე — არისტოტელეს მსჯელობის თეორია; ვ. ნადარეიშვილი — განქორწინების წესი ფეოდალურ საქართველოში; ვ. ცისკარიძე — ლიონის შემოქმედება; ნ. კეჭეყმაძე — ჰომეროსის წინადროინდელი პოეზიის საკითხისათვის; ლ. მელიქსეთ-ბეგი — ფრანგი არტისტები XIX საუკუნის პირველი ნახევრისა საქართველოს საარქივო მასალებით; თ. ამირეჯიბი — ბელინსკი ინგლისელი მწერლების შესახებ; ი. ცერცვაძე — „ცოდნის" აღმნიშვნელი ზოგი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში; კ. პროლაშვილი — ბოსუეტის ბაცბურში; თ. მრევლიშვილი — კავშირი „исо" გოგოლის თხზულებებში; ვ. ვიდკო — მართვის თავისებურებანი ა. ჩეხოვის ნაწარმოებების მიხედვით; ლ. ხატიაშვილი — ხართულ წინადადებათა საკითხისათვის თანამედროვე რუსულ ენაში; მ. მუღკიჯანიანი — მიზნობრივი დამოკიდებულების გამოხატვა ძეგლში „Повесть временных лет".

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: კ. კეკელიძე — პროფ. ე. ჰონიგმანი პეტრე იბერიელისა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა შესახებ; ს. ძლენტი — ვ. ა. არტიომოვი, Экспериментальная фонетика.

რა გვიჩვენა კონფერენციამ

მიმდინარე წლის 15-დან 23 აპრილამდე უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სტუდენტთა XIX სამეცნიერო კონფერენცია—მიძღვნილი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალისადმი.

კონფერენციამ ერთგვარად დააჯამა ფაკულტეტებზე არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა, გამოავლინა ამ მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ორგანიზებულად და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ქიმიის სექციის სხდომები. როგორც ქიმიის სექციის ხელმძღვანელმა დოც. ნ. ფირცხალავამ აღნიშნა, მას არ დასჭირებია სტუდენტთა გაფრთხილება კონფერენციის სხდომებზე დასწრებისათვის. სტუდენტები მოდიოდნენ თვითონ, დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ კონფერენციის მსვლელობისადმი, უსვამდნენ მომხსენებელს საქმიან შეკითხვებს. ამ სექციის სხდომებს, რომლებიც 3 დღეს გრძელდებოდა, საზოგადოების წევრთა 90-95% ესწრებოდა. სექციაზე მოსმენილ იქნა 9 მოხსენება. გარდა ამისა, ოდესისა და ბაქოს უნივერსიტეტების, აგრეთვე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მოხსენებები.

კონფერენციაზე სუსტად გამოიყურებოდა ფიზიკის სექცია, რომელზედაც სულ მოსმენილ იქნა მხოლოდ 6 მოხსენება. ამასთან ცუდი იყო დასწრებაც, როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა მხრივ. ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც ესწრებოდნენ სექციის სხდომებს, თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას მოხსენებათა ირგვლივ კამათში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის სამეცნიერო წრეებმა კონფერენციაზე ვერც ერთი მოხსენება ვერ გამოიტანეს. როგორც ცნობილია, თანამედროვე ტექნიკის განვითარების ეტაპზე ფიზიკას ძლიერ დიდი როლი ენიჭება. მაშ, რითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ფიზიკის სექცია ასე სუსტად მომზადებული აღმოჩნდა კონფერენციისათვის? როგორც ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ტუსკია აცხადებს — სტუდენტებს არ გააჩნია სათანადო ხელსაწყო-მოწყობილობები და რეაქტივები. მაგრამ ჩვენი აზრით მარტო ეს არაა მიზეზი. ვფიქრობთ, მეტი მონდომებული მუშაობაა საჭირო მთელი წლის მანძილზე.

კარგად იმუშავა ბიოლოგიის სექციამ (ხელმძღვანელი დოც. ა. ჯანაშვილი). ამ სექციაზე მოსმენილ იქნა 13 მოხსენება, გარდა ამისა სექციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ოდესისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების, აგრეთვე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის — უნგრელი იმრე ხაინალის მოხსენებამ, რომელიც ეხებოდა უნგრეთის მარცვლოვანი კულტურების სელექციას. აქ კარგი იყო დასწრება, როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა მხრივ. მაგრამ ამ სექციის მუშაობაშიც იყო ნაკლოვანებები. კერძოდ, ცხოველთა ფიზიოლოგიის წრის არცერთი წევრი, მათ შორის წრის თავმჯდომარე ამხ. ლ. კვირკველიაც არც ერთხელ არ დასწრებია სექციის სხდომებს. ასე, რომ ეს წრე სავსებით გამოეთიშა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ამ შემაჯამებელ ეტაპს. ამხ. კვირკველია ფრიადოსანი სტუდენტია, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. იგი, როგორც უპასუხისმგებლო, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისადმი, მკაცრად უნდა დაისაჯოს. მით უმეტეს, რომ იგი კომკავშირელიცაა და მოწოდებულია საზოგადოებრივ მუშაობაში კარგ მაგალითს აძლევდეს სხვა ამხანაგებს.

გეოგრაფია-გეოლოგიის სტუდენტთა სექციაში (ხელმძღვანელი პროფ. ივ. კაჭარავა) მოსმენილ იქნა 13 მოხსენება, გარდა ამისა ამავე სექციის სხდომაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ბაქოელი სტუდენტი — ა. გაიდაროვი. აქაც კარგი იყო სტუდენტთა დასწრება, მაგრამ, როგორც ეს სექციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ცუდი ის იყო, რომ კამათში სტუდენტები თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას.

კარგად იმუშავა მექანიკა-მათემატიკის სექციამ (ხელმძღვანელი დოც. ბ. ზერაგია). ამ სექციაში მოსმენილი იყო 13 მოხსენება და, გარდა ამისა, ორიც — ბაქოელი სტუდენტებისა. ამ სექციის სხდომებზე წაკითხული მოხსენებები გამოირჩეოდნენ მაღალი მეცნიერული დონით. რამდენიმე მათგანი რეკომენდებულია საქალაქო დათვალიერებაზე გასატანად.

საუკეთესოდ იმუშავა ენათმეცნიერების სექციამ (ხელმძღვანელი პროფ. ა. ჩიქობავა). ამ სექციაზე მოსმენილ იქნა 13 მოხსენება, ამათგან ერთი ოდესელი სტუდენტისა. სხდომებს ესწრებოდა წევრთა 95-100%. აღსანიშნავია, რომ ეს სექცია ერთადერთი იყო, სადაც ყველა მოხსენება წაკითხულ იქნა ზეპირად და თითოეულ მომხსენებელს ჰყავდა გამოყოფილი 1-2 რეცენზენტი, რამაც განაპირობა კამათის გაშლა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სექციის მუშაობა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა.

ისტორიის სექცია მუშაობდა ხუთ დღეს. ამ სექციაში მოსმენილ იქნა 19 მოხსენება ჩვენი სტუდენტებისა, გარდა ამისა, კიევისა და ოდესის უნივერსიტეტების სტუდენტთა მოხსენებებიც. როგორც სექციის ხელმძღვანელმა პროფ. დ. გვრიტიშვილმა აღნიშნა, უჩვეულოდ კარგი იყო სხდომებზე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დასწრება და კამათში მონაწილეობა. სექციის სხდომებს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს მუზეუმისა და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ისტორიის ფაკულტეტზე შარშანდელთან შედარებით სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. თ. სანიკიძის კარგ მუშაობასაც. ამ ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს განზრახული აქვს მომავალში კავშირი დაამყაროს პერიფერიებთან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებისა და ძეგლების შესწავლის მიზნით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს არცერთი მოხსენება არ გამოუტანია კონფერენციაზე.

საკმაოდ სუსტად იმუშავა ფილოსოფიის სექციამ. მართალია, სექციაზე სულ მოსმენილ იქნა 10 მოხსენება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ცუდი იყო სხდომებზე სტუდენტთა დასწრება, ხოლო კამათში მონაწილეობა — კიდევ უარესი. აღსანიშნავია, რომ თითქმის სულ არ ესწრებოდნენ სექციის სხდომებს პროფესორ-მასწავლებლებიც. რატომღაც არცერთი მოხსენება არ გამოეტანათ სექციის სხდომებზე ფილოსოფიის ისტორიის, ლოგიკისა და პედაგოგიკის სამეცნიერო წრეებს.

კონფერენციაზე მეტად კარგად გამოიყურებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის სექცია (ხელმძღვანელი პროფ. დ. კობიძე), რომელიც შარშანდელ კონფერენციაში სულ არ იღებდა მონაწილეობას. ამ სექციაში მოსმენილ იქნა 17 მოხსენება და ბაქოელი სტუმრების 4 მოხსენება. სექციის სხდომებზე კარგი იყო დასწრებაც და კამათში მონაწილეობაც.

კარგად იმუშავეს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ჟურნალისტიკის (ხელმძღვანელი დოც. ა. კვაჭაძე), აგრეთვე რუსული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი დოც. თ. მრევლიშვილი) სექციებმა. პირველში მოსმენილ იქნა 13,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

24 აპრილს ფიზიკის ფილოსოფიურ საკითხებზე ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი.

კონფერენციაზე, რომელიც მოაწყვეს ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილების IV კურსის სტუდენტებმა დოც. შ. ადეიშვილის ხელმძღვანელობით, მოსმენილ იქნა ოთხი მოხსენება: „სიმბოლოების თეორიის ლენინური კრიტიკა და სიმბოლოების შესახებ ფიზიკაში" (მომხსენებელი — სტუდენტი ა. ნაიბადოვი), „მატერიისა და მოძრაობის ურთიერთკავშირი" (მომხსენებელი — სტუდენტი ე. ხერუმოვი), „მოძრაობის ენერგიისა და მასის კავშირის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება" (მომხსენებელი — სტუდენტი მ. ზეიადაძე), „მატერიის ტალღური და კორპუსკულარული თეორია და დიალექტიკური მატერიალიზმი" (მომხსენებელი — სტუდენტი ლ. ოგანეზოვი).

ი. ბუაჩიძე.

საუნივერსიტეტო ფესტივალის ლაურეატის სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დაჯილდოებულნი

შედგა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ჟიურის სხდომა.

ჟიურიმ პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალის ლაურეატის სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დააჯილდოვა:

ა) **ცეკვებისათვის:** ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები — შ. გორგაძე, ჯ. გვაურაძე, ზ. ღვინიძე, ა. ელიაშვილი; გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — კ. ვახაძე და ლ. ზურაბიშვილი; ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები — რ. გაჩეჩილაძე, ჯ. მჭედლიშვილი, ე. ტორონჯაძე; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მ. კუჩუხიძე; ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ე. მეგრელიძე; ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი რ. ხანთაძე.

ბ) **ვოკალური ნომრების შესრულებისათვის:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — გ. მოწერელია, გ. ჭელიძე, ლ. ფოფხაძე; ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები — ზ. ხელაია, შ. ნასიბაშვილი, ა. ჯიბუტი; ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები — ი. დანელია, ლ. ლეკიშვილი, ა. მთვრალაშვილი; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები — ც. მესხილიშვილი და ბ. ზონენაშვილი; დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი — ე. ჯაში; კავკასიური ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი — ნ. ანდღულაძე; ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი — თ. ჩიქვაძე; ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი — ჯ. მაღრაძე.

გ) **ფორტეპიანოზე დაკვრისათვის:** ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი — ი. ოჩხაზავა; ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი — ლ. მაისურაძე; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი — მ. ნანეიშვილი;

დ) **სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობისათვის:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი — კ. კაპანაძე; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი — ა. ყიფშიძე.

ე) **ხელოვნების დადგმაში მონაწილეობისათვის:** ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი — მ. გედენიძე.

ვ) **მხატვრული კითხვისათვის:** ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი — დ. წილოსანი და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი — ს. კალანდია.

ზ) **საუნივერსიტეტო უნივერსიტეტის მხატვრული გაფორმებისათვის:** ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი — თ. ჩირქვიანი და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი — ო. ფაფურაშვილი.

თ) **სადამოს წამყვანები:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — დ. კობახიძე, ლ. კვეილიძე და ი. გოლუმბიოვსკი.

* * *

ჟიურიმ სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა:

ა) **ლიტერატურულ კონკურსში მონაწილენი:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — ე. კვიტაიშვილი, თ. მაღლაფერიძე, ა. სანებლიძე, ლ. სულხანიშვილი, რ. ჩაჩუა; ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები — ი. ფიცხელი, ა. ამილახვარი და ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი — ვ. შუხანი.

ბ) **ფოტო-კონკურსში მონაწილენი:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — გ. ქუბაბრია და ზ. სხვედიანი; გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — რ. მენგელია, რ. მინდორაშვილი და გ. გოგინეიშვილი; ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი — რ. ურუშაძე; ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი — ე. ახალკაცი; უნივერსიტეტის კლუბის გამგე — ვ. მჭედლიშვილი.

გ) **ფერწერის კონკურსში მონაწილენი** — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი — ი. სამსონაძე და ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი — ჯ. ანელი.

დ) **მუსიკალურ ნაწარმოებთა კონკურსში მონაწილეობისათვის:** ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი — ი. ალექსიძე.

ე) **საჭადრაკო ეტიუდების კონკურსში მონაწილეობისათვის:** ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი — ზ. კვეზერელი.

ვ) **ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების IV კურსის სასწავლო ხელნაწერი გაზეთის გამოშვებისათვის:** ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები — გ. აბელიშვილი (რედაქტორი), ლ. ჭანკოტაძე (მდივანი), დ. ჩიკვილაძე, ა. შენგელია და ლ. მატიხაშვილი (სარედაქციო კოლეგიის წევრები).

* * *

ფესტივალის საორგანიზაციო კომისიამ და ჟიურიმ პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალისათვის მზადების საქმეში და ფესტივალის მსვლელობაში აქტიური მონაწილეობისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა:

უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — ა. ნასიძე, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი — გ. ბაქრაძე, ქორეოგრაფი — ი. ზედაშიძე, კონცერტმეისტერი — კ. ლაზარევა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი — დოც. თ. მრევლიშვილი, დეკანის მოადგილე — დოც. გ. გოლეთიანი, პარტბიუროს მდივანი — დოც. ლ. მენაბდე, პროფბიუროს თავმჯდომარე — დოც. გ. ნათაძე, სტუდენტები — კ. მელაძე და რ. ამაშუკელი; ეკონომიური ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი — ამხ. გ. ჰანჯღავაძე; სტუდენტები — ი. ბეხაიძე, გ. გამსახურდია, თ. ცინაძე, გ. ბოლაიდელი; ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი — დოც. მ. მირიანაშვილი, ასისტენტი — გ. მესხი, სტუდენტი — გ. ლორია; ისტორიის ფაკულტეტის დეკანი — პროფ. ლ. გვრიტიშვილი, პარტბიუროს მდივანი — პროფ. შ. მესხია, პროფბიუროს თავმჯდომარე — დოც. გ. ზაქარიაძე, ალკ ბიუროს მდივანი — სტუდენტი გ. ნადირაძე; იურიდიული ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე — დოც. გ. ნაძე, სტუდენტი — გ. მაჭავარიანი; დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი — დოც. დ. ფანჩულიძე, პროფბიუროს თავმჯდომარე, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი — ე. ხუხუნი, ალკ ბიუროს მდივანი — სტუდენტი გ. სიხარულიძე; სტუდენტები — თ. ნასიძე, ე. შალიკაშვილი, გ. ნოვარაძე, თ. ფურცხვანიძე, რ. მეგრელიშვილი; უნივერსიტეტის ალკ კომიტეტის მდივნის მოადგილე — ამხ. ზ. კორაშვილი; გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივანი — ი. შავიშვილი; სტუდენტი შ. ნიკატინი; რუსული ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი — ო. ბაქანიძე; უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომის წევრი — ა. მელიქიძე; აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი — გ. წულაია; გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის" კორესპონდენტები — ვ. გოგოლაშვილი, ე. კასრაძე, პ. ბერგენიძე.

* * *

ჟიურის დადგენილების საფუძველზე პირველი საუნივერსიტეტო ფესტივალის საორგანიზაციო კომისიამ პირველი პრემია მიანიჭა ფილოლოგიისა და ეკონომიურ ფაკულტეტებს; მეორე პრემია ფიზიკის, ისტორიისა და იურიდიულ ფაკულტეტებს; მესამე პრემია — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს.

აპოლონ სამსონია

ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრას გამოაკლდა ერთ-ერთი უხუცესი წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი აპოლონ გიტოს-ძე სამსონია.

ამხ. ა. სამსონია დაიბადა 1884 წ. სოფ. ძიმითში (მახარაძის რ.). მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში — 1905 წელს დაიწყო მასწავლებლობა სოფლის სკოლაში, ხოლო 1910 წელს ოდესის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი უკვე ბაქოს საშუალო სასწავლებელში ასწავლიდა რუსულ ენას.

1917 წ. ა. სამსონია გადმოდის თბილისში და აქ განაგრძობს რუსული ენის მასწავლებლობას. 1933 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ ხანებამდე იგი რუსულ ენას ასწავლიდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ამხ. ა. სამსონია მეტად გულთბილი, ყველასათვის ახლო და საყვარელი ადამიანი და ამხანაგი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, იმ შეგნებით, რომ სოციალისტურ ქვეყნისათვის საჭირო კადრების მომზადებაში თავისი წვლილიც შეეტანა. მან ეს ვალი პირნათლად მოიხადა ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

ამხ. ა. გ. სამსონია დაჯილდოებული იყო მედლით „წარჩინებული შრომისთვის საბჭოთა კავშირის 1941-45 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში".

ა. გ. სამსონიას ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების, მოწაფეებისა და ნაცნობების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

პროფ. ვ. არტიომოვი თბილისში

ამ დღეებში უნივერსიტეტის მოწვევით თბილისს ეწვია მოსკოვის უცხო ენათა I პედაგოგიური ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი ვლადიმერ ალექსის-ძე არტიომოვი.

სტუმარმა თბილისში წაიკითხა რამდენიმე ლექცია, მათგან ორი — ჩვენს უნივერსიტეტში, რომელთაც მრავალი დაინტერესებული მსმენელი მიიზიდეს. პროფ. ვ. არტიომოვმა ჩვენს უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა თემებზე — „უცხო ენების სწავლების ფსიქოლოგია" და „ენისა და ბგერითი მეტყველების თავისებურებათა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური შესწავლა". აღნიშნულმა ლექციებმა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვიეს.

პროფ. ვ. არტიომოვმა ლექციები წაიკითხა აგრეთვე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. სტუმარმა ჩვენთან დაგრეთვე უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში კონსულტაციებიც ჩაატარა.

სპორტის ამბები

ჩვენი კალათბურთელები — საარაიონო ფესტივალის ჩემპიონები

ამ დღეებში უნივერსიტეტის კალათბურთის მოედანზე დამთავრდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. შეჯიბრებაში პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კალათბურთელებს შორის წარიმართა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ უნივერსიტეტის ვაჟმა კალათბურთელებმა 13 ქულით მოიგეს შეხვედრა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან. ამავე უმაღლესი სასწავლებლების ქალ კალათბურთელთა შეხვედრაც უნივერსიტეტის სპორტსმენების სასარგებლოდ (ანგარიშით 57:38) დამთავრდა. ამრიგად უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები საარაიონო ფესტივალის ჩემპიონები გახდნენ.

კათედრისა და სექციის უმოქმედობის შედეგად

უნივერსიტეტის ფეხბურთის სექცია მთელი წლის მანძილზე უმოქმედობდა. ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში ამის შესახებ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა ამ წერილს, მართალია, გამოეხმაურა (იხ. „ახალგაზრდა სტალინელი" 3/X 1956 წ.), მაგრამ როგორც გამოირკვა, შემდეგში ფეხბურთის სექციამ მუშაობა კვლავ შეწყვიტა. ორი კვირის წინ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ კვლავ მოახერხა ფეხბურთის სექციის აღდგენა. როგორც იქნა გამოინახა მწვრთნელი და ნორმალური მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი.

საქმე ისე კარგად წავიდა, რომ უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი რაიონულ ფესტივალშიც ჩაება. მაგრამ წლის მანძილზე უქმად დაკარგულმა დრომ და სექციის უმოქმედობამ თავისი შედეგი გამოიღო. ჩვენმა ფეხბურთელებმა დამამცირებელი ანგარიშით (5:0) წააგეს შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელებთან. მათს თამაშში არ იგრძნობოდა კოლექტიურობა. მოთამაშეებმა ვერც ერთი კარგი კომბინაცია ვერ გვიჩვენეს. ცუდია ცალკეული სპორტსმენების ტექნიკური და ფიზიკური მომზადება.

საინტერესოა, რით იმართლებს თავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, უნივერსიტეტში ფეხბურთის სექციის მუშაობის ჩაშლა ხომ ამ საქმეში მისი პირდაპირი უმოქმედობის შედეგია.

ვ. კასრაძე

რა გვიჩვენა კონფერენციამ

(დასასრული)

ხოლო მეორეში 12 მოხსენება, გარდა ამისა აქ მონაწილეობას იღებდნენ ბაქოელი სტუდენტებიც (2 კაცი). ამ სექციებიდან განზრახულია რამდენიმე მოხსენება გატანილ იქნეს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების საქალაქო დათვალიერებაზე.

საშუალო ქართული ლიტერატურის (ხელმძღვანელი დოც. დ. ფანჩულიძე) და უცხოურ ენათა (ხელმძღვანელი დოც. ნ. ქადაგიძე) სექციებში სულ მოსმენილ იქნა 21 მოხსენება. ამ სექციების სხდომებზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა დასწრება კარგი იყო. მოხსენებათა ირგვლივ იმართებოდა საინტერესო კამათი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს სექციები კარგად მუშაობდნენ. როგორც ფაკულტეტის დეკანმა დოც. დ. ფანჩულიძემ აღნიშნა, კარგი იქნებოდა, რომ შემდგომ კონფერენციაზე თვითეული ენისათვის (ინგლისური, გერმანული და ფრანგული) ცალ-ცალკე სექციები იმუშავებდნენ.

ეკონომიურ მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ქოიავა) მოსმენილ იქნა 8 მოხსენება. როგორც სექციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სხდომებზე დასწრება (როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა მხრივ), არადამაკმაყოფილებელი იყო. სამაგიეროდ ვინც ესწრებოდნენ, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კამათში.

სუსტად გამოიყურებოდა კონფერენციის მსვლელობის დღეებში იურიდიულ მეცნიერებათა სექცია. ამ სექციაზე გატანილ იქნა 12 მოხსენება. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დასწრება ძალიან ცუდი იყო. კამათი თითქმის არ მიმდინარეობდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საერთო ჯამში კონფერენცია კარგად ჩატარდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოდასახელებული ზოგიერთი სექციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს).

კონფერენციის დასკვნით პლენარულ სხდომაზე სექციების ხელმძღვანელებმა რიგი წინადადებებისა წამოაყენეს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ზოგიერთი სექციის ხელმძღვანელმა ნაკლები დაინტერესება გამოიჩინა კონფერენციაზე გასატანი მოხსენებების თეზისების გამოქვეყნების საქმეში, ამის შედეგი იყო, რომ გამოქვეყნებულ თეზისებში რამდენიმე შეცდომა გაიპარა.

როგორ მუშაობდნენ კონფერენციის მსვლელობის დროს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს წევრები? შეიძლება ითქვას, რომ მეტად არადამაკმაყოფილებლად.

საბჭოს წევრები — გ. გელაშვილი, შ. რატიანი, დ. ბერძენიშვილი და სხვ. ნაკლებად ეხმარებოდნენ თავმჯდომარეს კონფერენციის ორგანიზაციაში; ეს ამხანაგები დასკვნით პლენარულ სხდომაზეც კი არ გამოცხადდნენ. რაც შეეხება საბჭოს წევრს ქ. კუციას, იგი დღიდან არჩევისა სულ არ გამოცხადებულა საბჭოში და „საპატიო წევრად" რჩება. ეს ამხანაგი უპასუხისმგებლობისათვის მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ამრიგად, კონფერენციაზე სულ მოსმენილი იყო 202 მოხსენება, აქედან 24 წაკითხულ იყო სტუმრების მიერ. საუკეთესო შრომები განზრახულია დაიბეჭდოს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა მე-9 ტომში. აღსანიშნავია, რომ რატომღაც ბრკოლდება აღნიშნულ ნაშრომთა მე-8 ტომის გამოშვება, თუმცა მასალები შეგროვილი და უკვე 1956 წლის ბოლოსათვის იყო გადაცემული. საჭიროა სამეცნიერო ნაწილმა დროზე იზრუნოს, როგორც აღნიშნული მე-8 ტომის, ისე მე-9 ტომის გამოცემაზე.

რ. მოურდანია,
უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2 000. უე 02401.